

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-  
მასწავლებლების კვლევითი პროდუქტიულობა საქართველოში

ლიკა ზაალიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიგი თევზაძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა ზაალიშვილი



21/06/2018

სამაგისტრო ნაშრომი დაფინანსებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი  
პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის ფარგლებში



## აბსტრაქტი

თანამედროვე უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში კვლევას, როგორც ახალი ცოდნის შექმნის საშუალებას, რომელსაც საზოგადოებრივ, ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე შეუძლია სარგებლის მოტანა, სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კვლევის მრავალმხრივი სარგებლის გათვალისწინებით, განათლების საკითხებით დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციები, მთავრობები, უნივერსიტეტები, თუ ცალკეული მკვლევრები ცდილობენ, აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლების კვლევითი პროდუქტიულობისა და მასთან დაკავშირებული ცვლადების კვლევა. ასევე, პროფესორ-მასწავლებლების კვლევით პროდუქტიულობაში არსებული განსხვავებების ძირითადი მიზეზების იდენტიფიცირება.

კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ქეროლ ბლენდისა და მისი კოლეგების მიერ შექმნილი კვლევითი პროდუქტიულობის მოდელი, რომელიც იყენებს ინდივიდუალურ, ინსტიტუციონალურ და ლიდერობასთან დაკავშირებულ ცვლადებს როგორც ინდივიდუალური, ისე მთლიანად ფაკულტეტის ან ამა თუ იმ დეპარტამენტის კვლევითი პროდუქტიულობის ასახსნელად.

კვლევის ძირითადი მიზნის მისაღწევად, პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, გამოიკითხა საქართველოს 3 სახელმწიფო და 3 კერძო უნივერსიტეტის 260 პროფესორ-მასწავლებელი, სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება Google Scholar-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით განხორციელდა, საიდანაც განისაზღვრა კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ, 2007-2017 წლებში, გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა, ციტირების მაჩვენებელი და H ინდექსი.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ, ერთი მხრივ, შერჩეული 6 უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ, ბოლო 10 წლის განმავლობაში, გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა საკმაოდ არათანაბარია, მეორე მხრივ, მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ამა თუ იმ სამეცნიერო მიმართულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ჩართულ ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უნივერსიტეტის სტატუსი და ახორციელებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს, კვლევითი პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად მაღალია სახელმწიფო უნივერსიტეტებში, კერძოსთან შედარებით. ასევე, სამეცნიერო მიმართულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან კვლევითი პროდუქტიულობის მიხედვით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოადგენს ყველაზე პროდუქტიულ მიმართულებას როგორც გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის, ისე ციტირების მაჩვენებლის მიხედვით. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მაღალი აკადემიური სტატუსის მქონე პროფესორ-მასწავლებლები აქვეყნებენ უფრო მეტ პუბლიკაციას და აქვთ ციტირების მაღალი მაჩვენებელი. დამატებით, უნივერსიტეტის სამი ფუნქციიდან, რაც სწავლებას, სერვისს და კვლევას მოიცავს, როდესაც პროფესორ-მასწავლებელი დროით რესურსს ახმარს პირველსა და მეორეს, მცირდება მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების ხარისხი. იკვეთება ტენდენცია, რომ დროის კონცენტრირება სწავლებასა და სერვისზე კვლევის ხარისხის გაუარესებას განაპირობებს. ისეთი დამატებითი, ადამიანური რესურსები კი, როგორებიცაა ასისტენტი და დოქტორანტი პროფესორ-მასწავლებლის კვლევითი პროდუქტიულობის ზრდას უკავშირდება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კვლევითი პროდუქტიულობა, სასწავლო დატვირთვა, პუბლიკაციების რაოდენობა, ციტირების რაოდენობა, H ინდექსი.

## Abstract

The research project aims to investigate the research productivity of professors of higher education institutions and related variables, to identify the main causes of the existing differences. Based on the project goals, I use a complex approach to evaluate research productivity and take into consideration the scientific significance indicators of publications issued by professors. The survey is carried out using quantitative research method in which 260 professors of state and private universities participate. Besides, I rate the number of publications published by the academic staff of selected universities, the number of citations and H index based on Google Scholar database. According to the results, research productivity of professors with different academic status and teaching loads differ significantly from each other. Also, high teaching load is related to less number of citations, but does not effect on number of publications. Besides, research productivity is strongly associated with research orientation of professors and academic fields. Additionally, research productivity in state universities is significantly high than in private universities. The regression linear model explains 73% of variance of research productivity in Georgia. In conclusion, the results show a clear picture about research productivity in participating universities that is beneficial for any university administration who wants to improve the research component, as well as state structures and NGOs working on higher education and research issues in Georgia.

**Key words:** research productivity, teaching load, number of publications, number of citations, H index.

## მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ გიგი თევზაძეს, კვლევის ჩატარებისა და ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

დიდი მადლობა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს კვლევის ყველა ეტაპის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

მადლობას ვუხდით ყველა იმ პროფესორ-მასწავლებელს, რომელმაც, მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, მოახერხა კვლევაში მონაწილეობის მიღება. მათი დახმარების გარეშე აღნიშნული კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა.

დიდი მადლობა ჩემს კურსელებსა და მეგობრებს, თამარ მესხსა და სალომე ხურციძეს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ პირველადი მონაცემების შეგროვების პროცესში.

მადლობას ვუხდით ჩემს მეგობრებს, მარიამ აბელიანსა და ლამრიკო სუხიტაშვილს, კვლევის პროცესში მოწოდებული რჩევებისა და საინტერესო იდეებისათვის.